

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1974 წ.
№ 103 (5133)
26 მაისი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1924 წლის 13 აპრილიდან

ჯანმრთელობის სტარტები

ნინის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ელისო გაჩეჩილაძე.

მართლაც, ფიზკულტურისა და კომკავშირის რაიონული კომიტეტების ზრუნვა მშდ კომპლექსის მასობრივად დანერგვისთვის კიდევ ერთხელ დადასტურდა ამას წინათ, როცა მედმუშაკის სტადიონზე ნორმატივების ჩაბარებლად 200-ზე მეტი კაცი შეიკრიბა.

მშდ კომპლექსის მრავალჭიდის პროგრამით გამართულ რაიონულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქალაქის საბჭოს, თბილწყალკანალტრესტის, № 14 სამშენებლო ტრესტის, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის აბრეშუმის საწარმო გაერთიანების, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის, თეატრალური ინსტიტუტის, თეატრალური საზოგადოებისა და სხვა ორგანიზაციათა გუნდები.

ამ კარგ ღონისძიებას თავი აარიდეს თბილისის სატელეფონო ქსელის, ცენტრალური ტელეგრაფის, კავშირგაბმულობისა და კულტურის სამინისტროებისა და სხვა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

„კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე გამართული შეჯიბრების პირველი ტურის პროგრამაში იყო 100 და 500 მეტრზე რბენა, სიგრძეზე ხტომა და ხელყუმბარის ტყორცნა. შემდეგ კიროვის რაიონის დოსააფის ტირში მოასპარეზენი ცეცხლის ხაზზე დადგნენ. ტური „ლოკომოტივის“ აუზში ცურვაში გამართული ასპარეზობითა და ტურისტულ მრავალჭიდში შეჯიბრებით დასრულდება.

მედმუშაკის სტადიონზე ასპარეზობამ მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. რამდენიმე კაცმა ნორმატივები ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა. განსაკუთრებით იმარჯვა რესპუბლიკური სპორტკომიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ი. გეკელიამ, რომელმაც ხელყუმბარა 48,15 მეტრზე ტყორცნა. ვაჟთა შორის ამ სახეობაში თავი გამოიჩინა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა გ. მაისურაძემ — 53,11 მ. 100 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა თეატრალური საზოგადოების კომკავშირის კომიტეტის მდივანმა თ. გელაშვილმა...

— იმედია, მორიგი ამგვარი შეჯიბრება უფრო მეტ ხალხს მიიზიდავს, — თქვა დასასრულ ე. გაჩეჩილაძემ.

რ. მალრაძე.

• • •

სურათებზე: ი. გეკელია ტყორცნის ხელყუმბარას; 100 მეტრზე რბენის ერთი მომენტი; სიგრძეზე ხტება მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თანამშრომელი ა. მელიშვილი. მისი შედეგია 455 სმ.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ვერონის ფიცარნაგზე

იტალიის ქალაქ ვერონის სპორტის მოყვარულები სამართლიანად ფიქრობენ, რომ წლეულს ორგზის გაუღიმათ ბედმა. ჯერ ერთი, 29 მაისიდან 6 ივნისამდე მათს ქალაქში ევროპის ძალოსანთა ჩემპიონატი ტარდება; მეორეც, ისინი ნახავენ ვ. ალექსეევსა (შახტი) და ლ. ჟაბოტინსკის (ზაპოროჟიე) პირველ „დასწრებულ“ ბრძოლას. ჟაბოტინსკი არა მარტო დაუბრუნდა სარბიელს ავადმყოფობისა და ოპერაციის შემდეგ, არამედ ატაცში მსოფლიო რეკორდიც დაამყარა ზემძიმე წონაში. ამასწინანდელ საკავშირო ჩემპიონატში დამყარებული ორი მსოფლიო რეკორდით ალექსეევმაც დაამტკიცა, რომ მზადაა ამ შეხვედრისთვის, რომელსაც მთელი სპორტული საქყარო უდიდესი ინტერესით ელის.

საბჭოთა ნაკრების პირველი ჯგუფი იტალიაში 26 მაისს გაემგზავრება. ალექსეევისა და ჟაბოტინსკის გარდა, გუნდში შედიან რიგელი ვ. ანიკინი (მჭიატე წონა), თბილისელი დ. შანიძე (ქვემსუბუქი), მოსკოველი მ. კირჟინოვი (მსუბუქი), მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. კურენცოვი (ქვესაშუალო), მოსკოველი ვ. რიქუნკოვი (საშუალო), შახტელი დ. რიგერტი, ხმელნიცკელი ს. პოლტორაცკი (ორივე — ქვემძიმე), როვნოელი ვ. უსტიუჯინი (მძიმე).

ანიკინი, პოლტორაცკი და უსტიუჟინი ასეთი რანგის შეჯიბრების დებიუტანტები არიან. წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში მოპოვებული ოქროს მედლები მათს ნიჭიერებაზე მეტყველებს.

— ჩვენ შეგნებულად შევცვალეთ გუნდის შემადგენლობის თითქმის მესამედი, რათა დიდი საერთაშორისო ტურნირის პირობებში გამოვცადოთ პერსპექტიული ათლეტები, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ძალოსნობის განყოფილების უფროსმა ა. სოკოლოვმა. — შეჯიბრება საინტერესო და დაძაბული უნდა იყოს, ვინაიდან მსოფლიოს უძლიერეს ძალოსანთა უმეტესობა ჩვენს კონტინენტზე ცხოვრობს. ჩემი აზრით, საერთო გუნდური პირველობისთვის შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდება სსრ კავშირისა და ბულგარეთის ნაკრებ კოლექტივებს შორის.

(საკდესი).



— მუხლებს ნუ ხრი, ბილი, მსაჯები შენსკენ მოდიან! („სპორტინგ ლაიფი“, ინგლისი).

მეზუთეზე!

თბილისის ალპიურ კლუბში მოეწყო საზეიმო საღამო, სადაც „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს კოლექტივს ამავე სამმართველოში შორის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1974 წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით I ადგილზე გასვლისთვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

ჩვენი სამმართველოს კოლექტივმა მეხუთედ დაიმსახურა ეს მაღალი ჯილდო.

გამარჯვებული კოლექტივის მიღწევების შესახებ ილაპარაკა სამმართველოს უფროსის მოადგილემ ე. ავეტისოვმა.

— საქართველოში „სპორტლოტოს“ არსებობის ორი წლის მანძილზე რესპუბლიკურ სპორტკომიტეტს ორ მილიონ მანეთზე მეტი გადაეცით. ლატარიის 327741 მონაწილემ, რომელთა ბილეთებსაც მოგება ხვდათ, საერთო ჯამში 2713600 მანეთი მიიღო, — თქვა მან.

სპორტული ლატარიების მთავარი სამმართველოს წარმომადგენელმა ვ. კუპრიანოვმა დამსწრეთ გააცნო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს ზონალური სამმართველოს დაჯილდოების შესახებ. მანვე გამარჯვებულს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ბალავაძემ „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველო სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვა.

სამმართველოს საუკეთესო მუშაკები, განყოფილებებს, სააგენტოებს, ბრიგადებსა და ინსტრუქტორებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში 1974 წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვებულნი გარდამავალი ეიმპელებით დაჯილდოვდნენ.

ნ. ლონღაძე,
„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

19 45

◆ ტოკიო, 25 მაისი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა იაპონიაში კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი მოუგო მასპინძელი ქვეყნის მეორე ნაკრებს. ეს მატჩი დღეს გაიმართა ტოკიოში. ანგარიშია 3:1 (15:8, 15:8, 12:15, 15:13).

მეორე სასოფლო თამაშები

საბჭოთა ქვეყნის სოფლის მეურნეობის მუშაკებს თავიანთი ოლიმპიადა აქვთ, რომელსაც საკავშირო სასოფლო თამაშები ჰქვია. ეს შეჯიბრება, ისევე როგორც ნამდვილი ოლიმპიური თამაშები, ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. წლევანდელი, რიგით მეორე საკავშირო სასოფლო ასპარეზობა წნიშნელოვანი ეტაპი და შემადგენელი ნაწილია სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადისა.

ამ დიდი შეჯიბრების სტარტზე უკვე 8 მილიონამდე კაცი გამოვიდა. თამაშების მსვლელობისას მშდ კომპლექსის ნიშნსანთა რიგებს თითქმის 2 მილიონი ფიზკულტურელი შეემატა. 308 კაცმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

22 მაისს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოეწყო პრეს-კონფერენცია, სადაც თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ი. კუზნეცოვმა ილაპარაკა საკავშირო სასოფლო თამაშების მსვლელობისა და პირველი შედეგების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ თამაშების წყალობით სოფლად შესამჩნევად გაფართოვდა სპორტული მშენებლობა, სპორტული ბაზის საკითხი კი დღეს თითქმის ყველაზე აქტუალურია სასოფლო სპორტსაზოგადოებებისთვის.

ომსკის ოლქში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით 13 სპორტული დარბაზი აშენდა. სოფლის სკოლებში საცეკვაოდ გადაეცა 22 დარბაზი. მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილია „მშდ კომპლექსის სამწლედი“, რომლის გეგმების შესრულებაც მოლდავეთის ჩადირ-ლუნგის რაიონის სოფელ ტვარდიცის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენებმა იკისრეს. კოლმეურნეთა სიტყვა და საქმე ერთია. ახლა ყოველ ბრიგადაში „სპორტული ქალაქებია“ მოწყობილი. ამ პატარა მინდვრის სტადიონებზე მსურველნი ბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს სხვადასხვა სახეობაში, სროლისა და ცურვის ჩათვლით. მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნის ტარების უფლება უკვე 211 კოლმეურნემ მოიპოვა.

სპორტსაზოგადოება „სევანმა“, სომხეთის ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ თამაშების ფინალს დაუკავშირეს სოფელ ადგილებში სპორტული ბაზების მშენებლობის დათვალიერება-კონკურსი. უკვე გამოვლინდნენ გამარჯვების პირველი პრეტენდენტები. მაგალითად, ნორ-ბატუკარის კოლმეურნეობაში აიგო საცურაო აუზი. აბოვიანის კოლმეურნეობაში მთავრდება სპორტული დარბაზის მშენებლობა. კოლმეურნეობის სტადიონის სარბენ ბილიკებზე რეზინ-ბიტუმის საფარი დაგეს.

თამაშები გვიჩვენებს, რომ საუკეთესო სპორტსმენები შრომაშიც მოწინავენი არიან. ვოლგოგრადის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „სოვეტსკაია როსიაში“ თამაშების მსვლელობისას 200-ზე მეტი მშრომელი მშდ კომპლექსის ნიშნსანი გახდა, 10 — პირველთანრიგოსანი. თავი გამოიჩინეს სპორტის ოსტატმა, ელექტროკოსმა ა. ივინმა, პირველთანრიგოსანმა, ტრაქტორისტმა ა. სუხომა, ბრიგადირის თანაშემწე გ. კოტოვმა, შოფრებმა გ. ნოვაკმა და ი. გონჩაროვმა, ხარატმა ვ. პანჩენკომ, ინჟინერმა გ. კარტუშინმა.

მეორე სასოფლო თამაშები თანდათან ძალას იკრებს. წინაა საინტერესო ბრძოლა საკავშირო ფინალურ ტურნირებში. შაშსა და ცხენოსნობაში შეჯიბრებები უკვე ივნისში ჩატარდება.

(საკდესი).

დამსახურებული ჯილდოები

ამიერკავკასიის რკინიგზის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის შრომობენ, დაამუშავეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომლის უმთავრესი მიზანია ფიზკულტურული მოძრაობის გარდაქმნა მასობრივიდან საყოველთაო-სახალხოდ.

1973 წელს ჩვენმა საზღაო ორგანიზაციამ ბევრ წარმატებას მიაღწია. მნიშვნელოვანი გადაჭრებით შესრულდა თანრიგოსნების, შშდ კომპლექსის ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმები. კარგადაა დაყენებული სპორტული მუშაობა თბილისის, სამტრედიისა და ლენინაკანის სავაგონო დეპოების, თბილისისა და ჭუთაისის სალოკომოტივო დეპოების, ერევნის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის და სხვა ფიზკულტურულ კოლექტივებში.

„ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, 1973 წელს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმის წარმატებით შესრულებისთვის ჩვენი მაგისტრალის საუკეთესო საწარმოო კოლექტივები დაჯილდოვდნენ სიგელებით, სამახსოვრო ვიმპელებითა და ქეტონებით. ესენი არიან თბილისის სალოკომოტივო და სავაგონო დეპოების კოლექტივები. საგზაო ორგანიზაციათა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა ამიერკავკასიელებს გადაეცათ სამახსოვრო პრიზი. 1973 წელს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმის ძირითადი მაჩვენებლების წარმატებით შესრულებისთვის ქება დაიმსახურეს, აგრეთვე, რკინიგზის თბილისის განყოფილების „ლოკომოტივის“ რაიონულმა საბჭომ და თბილისის საკვანძო საბჭომ.

ცენტრალურმა საბჭომ და გამამჯანსაღებელ-მასობრივი მუშაობის ფედერაციამ ფიზკულტურულ-გამამჯანსაღებელი საქმიანობის ფართო გავრცელებისთვის საუკეთესო ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

დასკვნითი ტურნირი

ხანგრძლივი წვიმისგან ატალახებულ მინდორზე ლენინგრადელებმა უკეთ ითამაშეს და გაიმარჯვეს კიდეც: ერთადერთი გოლი მე-60 წუთზე გაიტანა „ზენიტის“ ნახევარმცველმა ვიუნმა.

სეზონი დასკვნის ტურნირი

24 მაისს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის VII ტურის ბოლო მატჩი: ცსკა — „ზენიტი“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	7	4	2	1	10—5	10
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	7	3	3	1	9—5	9
„ქარპათი“ (ლვოვი)	7	3	3	1	12—10	9
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	7	2	5	0	7—5	9
ცსკა	7	3	2	2	11—8	8
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	7	2	4	1	11—10	8
„არარატი“ (ერევანი)	7	2	3	2	8—7	7
„დინამო“ (მოსკოვი)	7	1	5	1	7—6	7
„შახტიორი“ (დონეცკი)	7	2	3	2	5—6	7
„შახთაკორი“ (ტაშკენტი)	7	2	2	3	11—12	6
„არარატი“ (ერევანი)	7	2	2	3	7—8	6
„ნისტრუ“ (კიშინიოვი)	7	2	2	3	6—8	6
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	6	2	1	3	3—5	5
„დინამო“ (თბილისი)	6	1	3	2	3—6	5
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	7	0	4	3	6—10	4
„ტორპედო“ (მოსკოვი)	7	1	2	4	1—6	4

II ლიგა III ზონა

24 მაისს გამართული მორიგი ტურის კალენდარული მატჩების შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (ვოლოგდა) 0:0

დიდი ინტერესი მატჩის მიმართ გასაგებია: ვოლოგდელ ფეხბურთელებს გაბედილ 8 ტურში მხოლოდ 1 ქულა ჰქონდათ დაკარგული და ბათუმს ერთიროვნული ლიდერების როლში ეგულებნენ. არც მასპინძლებს აქვთ ურიგო მარკენებლები, განსაკუთრებით შარშანდელთან შედარებით. ბრძოლის მსვლელობამ გაამართლა მოლოდინი და მაყურებლებმა საინტერესო, შინაარსიანი მატჩი ნახეს.

მასპინძლებმა თავიდანვე სცადეს წარმატების მოპოვება. მე-5 წუთზე თ. ესებუამ ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი მიზანს აცდინა. ცოტა ხანში ჭორიძის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი ძლივს მოიცერია მეკარე რაკოვმა. ამ პირველ იერიშებს სტუმრები ორგანიზებული დაცვით გაუმკლავდნენ, შემდეგ კი თამაში გათანაბრდა.

მეორე ტაიმი ბათუმელებმა კვლავ მძაფრი იერიშებით დაიწყეს, ვოლოგდელთა დაცვას და მეკარეს ძალიან დიდი დატვირთვა დააწვათ. 55-ე წუთზე გაგუა — მკავანაძე — ჩელებაძის კომბინაციის შემდეგ სტუმართა კარს გოლის რეალური საფრთხე ემუქრებოდა, მერე გიორგიადი გაეიდა ასეთივე ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ კარის აღება არა და არ მოხერხდა.

მატჩის შემდეგ ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის სპეციალური პრიზები გადაეცათ ბათუმელ ვ. ქორიძეს და ვოლოგდელ ვ. ჟუკოვს.

ო. მურვანიძე.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 3:0

ლანჩხუთელ ფეხბურთელებს ამჯერად აშკარად სუსტი მეტოქე ჰყავდათ. „ფოლადი“ ზონის გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზეა ერთადერთი ქულით და მატჩშიაც ცხადყო, რომ სუმგაითელთა აუტსაიდერობა კანონზომიერი ამბავია. სტუმრები აშკარად ყოველმხრივ ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეს, ხშირად აგებდნენ ორთაბრძოლას და გასაკვირი მხოლოდ ისაა, რომ „გურიამ“ პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ შეძლო მეტოქის კარის აღება (სიხარულიძე).

შესვენების შემდეგ მასპინძელთა იერიშები უფრო მიზანდასახული და ეფექტური გახდა. იმავე სიხარულიძემ სუმგაითელებს მეორედ დააწყებინა თამაში ცენტრიდან, ხოლო ძიძიგურ—ტროიანის კომბინაცია მესამე გოლით დამთავრდა.

ი. მეგრელიძე.

„კოლხეთი“ (ფოთი) — „დინამო“ (ქიროვაბადი) 1:0

ქიროვაბადელთა გუნდი, რომელიც ოდესმაც უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, ახლა ზონის ერთ-ერთი ლიდერია და განვლილ შვიდ ტურში 6 გამარჯვება აქვს მოპოვებული. დინამოელთა სახით მაყურებლები ელოდნენ ძლიერ მეტოქეს და აქედან გამომდინარე — საინტერესო თამაშსაც.

მაგრამ კიროვაბადელებმა ვერ გაამართლეს. ბრძოლის უნარი. ბურთი უმეტესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა, ხშირი იყო ორმხრივი უსუსტობანი და პირველი ტაიმი დამთავრდა ისე, რომ სახიფათო მომენტი თითქმის არც ერთ კართან არ შექმნილა.

შედარებით გამოცოცხლდა თამაში შესვენების შემდეგ და უმთავრესად „კოლხეთის“ ფეხბურთელთა აქტიურობის ხარჯზე. უნდა აღინიშნოს, რომ ფოთელთა რიგებში მწვრთნელებმა გამოიყვანეს სრულიად ახალგაზრდა, 17 წლის ფეხბურთელები, რომლებსაც არ გაუმტყუნებიათ მათთვის იმედი. აღნიშნის ღირსნი არიან ადამია, ჩიგავა და სხვ.

„დინამოს“ დაცვამ, სადაც გამოირჩეოდა კასუმოვი, რამდენიმეჯერ იხსნა გუნდი სახიფათო ვითარებაში, მაგრამ გამარჯვების გოლი მაინც გავიდა: მადანმა კარგად გამოიყენა ადამიას გადაცემა და ზუსტად დაარტყა.

ბ. ბასილაია.

„დილა“ (გორი) — „ტორპედო“ (ვლადიმირი) 0:0

მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა ამ ტურისთვის საკმაოდ განსხვავებული იყო: სტუმრებს გაცილებით უკეთესი ადგილი ეკავათ, ვიდრე „დილას“. ამიტომ იყო, რომ მასპინძლები საბრძოლველად განწყობილი გამოვიდნენ მინდორზე და პირველივე წუთებიდან მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს. მათ წარმატების მიღწევის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა მიეცათ. მაგალითად, 28-ე წუთზე ხანიშვილს შეეძლო ანგარიშის გახსნა. თავის მხრივ სტუმრებიც ახორციელებდნენ კონტრიერიშებს და არც გორელთა მეკარე კირვალიძე იყო უსაქმოდ.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდში მოხდა ცვლილებები და თამაში კიდევ უფრო გამწვავდა. თანდათან ეს გაღიზიანდა ნერვულობაში, უხეშობაში, მოსკოველმა მსაჯმა ვ. ქარკოვმა კი ვერ შეძლო მისი აღკვეთა. ამის გამო მატჩმა სანახაობრივი მიმზიდველობა დაკარგა.

ი. თევდორაშვილი.

„დინამო“ (ზუგდიდი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:0

ზუგდიდელთა სატურნირო მდგომარეობა ერთობ არასახარბიელოა. ამიტომ ახლა თითოეულ ჩატჩს, განსაკუთრებით საკუთარ მინდორზე, საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება.

უნდა ითქვას, რომ დინამოელებმა დიდი მონდომებით, ენერგიულად ითამაშეს „შირაკის“ წინააღმდეგ და თავიდანვე სწრაფად შეუტიეს. სულ მალე ალმასია — თუთბერიძის კომბინაცია გოლით დამთავრდა.

სტუმრებმა მარცხს გაძლიერებული კონტრშეტევით უპასუხეს. ისინი კარგა ხანს ავიწროებდნენ მეტოქეს, მაგრამ დინამოელები მშვიდობიანად გადაურჩნენ ამ დაწოლას, შემდეგ კი კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა.

შესვენების შემდეგ ზუგდიდელები განაგრძობდნენ აქტიურად თამაშს. ლენინაკანელთა კართან შექმნილი რამდენიმე სახიფათო მომენტის შემდეგ, მე-60 წუთზე, კეპულარიამ თავური დარტყმით მოათავსა მეორე ბურთი „შირაკის“ კარში.

ბ. ალშიბაია.

16 ივნისი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა

საქმიანობა გვიანობამდე გრძელდება

ჩვენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის აგიტპუნქტში ვართ. პლაკატებითა და ლოზუნგებით დამშვენებულ ოთახის კედლებზე გამოფენილია აგიტატორთა და საარჩევნო კომისიის წევრთა მორიგეობის გრაფიკი, აგიტპუნქტის სამუშაო გეგმა, ამომრჩეველთა და დეპუტატობის კანდიდატთა სიები. მაგიდაზე უხვად აწყვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა და ახალი ჟურნალ-გაზეთები.

აგიტპუნქტს, რომლის გამგეა პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, მძლეოსნობის კათედრის დოცენტი ვ. ვაშაყიძე, ნათლად ეტყობა მზრუნველი ხელი.

ინსტიტუტის შესასვლელში წოთელ ქსოვილზე გაკეთებული წარწერა გვამცნობს, რომ აქ მოთავსებულია № 15 საარჩევნო უბანი. საარჩევნო უბნის თავმჯდომარეა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი კ. კახიძე. ამ საარჩევნო უბანში 46 აგიტატორი მუშაობს. მათთან ტარდება მეთოდური და თეორიული მეცადინეობები. ამომრჩეველებთან აგიტატორების მიერ ჩატარებული საუბრების ძირითადი არსია ლენინის დიადი იდეების პროპაგანდა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპებისა და საბჭოთა საარჩევნო სისტემის ღრმა და ყოველმხრივი ახსნა-განმარტება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე შეცვლილ ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის ამოცანების პროპაგანდას.

პოლიტინფორმატორს, უცხო ენების კათედრის უფროს მასწავლებელს ე. თოფურიას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის 16 წლის გამოცდილება აქვს, მაგრამ საუბრისთვის მუდამ წინასწარ ემზადება. ცდილობს ამომრჩევლებთან მისი ყოველი შეხვედრა შინაარსიანი და დასამახსოვრებელი იყოს.

ასევე უნარიანად მუშაობენ აგიტატორები ც. საყვარელიძე, მ. დარციმელია, თ. მჭედლიშვილი და სხვ. მათი სასაუბრო მასალა კიდევ უფრო გაამდიდრა ამ დღეებში გამოქვეყნებულმა სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უკანა ამომრჩევლისა და მოქალაქისადმი. ეწყობა ინდივიდუალური საუბრები ახალგაზრდა ამომრჩევლებთან, ამომრჩევლის შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან, სპორტული შეჯიბრებები ახალგაზრდა ამომრჩევლებისა და ამომრჩეველთა შვილების მონაწილეობით. 9 მაისს ჩატარდა საჩოგბურთო შემორიალი ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი სტუდენტის, დიდ სამამულო ომში დაღუპული საბჭოთა კავშირის გმირის გ. ლუტაძის სახელობის პრიზზე.

ამ მუდმივმოქმედ აგიტპუნქტში გვიანობამდე გრძელდება საქმიანი ფუსფუსი: ზოგი ამომრჩეველთა სიას ამუსტებს, ზოგი ცდილს გაზეთს ახალ ნომერს ამზადებს, ზოგი ლექცია-მოხსენებებისა და საუბრების თემატიკას ადგენს. უველა აგიტატორი ხრუნავს, რომ უველმა ამომრჩეველმა პირნათლად მოიხადოს თავისი მოქალაქეობრივი ვალი და არჩევნების დღეს — 16 ივნისს ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.

ც. ფცქიალაძე.

სადაც ცა უერთდება კლდეს

ირგვლივ პიტალო კლდეებია. ხეობაში პატარა, ანკარა მდინარე მოქნეული შოლტივით მიიკლაკნება. მდინარის პირას, კარავთან, ხალხი ფუსფუსებს. შათს წინ თითქმის 100-მეტრიანი კლდე აღმართულა. კარვიდან იქამდე თოკებია გაბმული. თუ კლდეს კარგად დაკვირდებით, ზედ ადამიანებსაც შეამჩნევთ. ისინი ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მიიწევენ ზევით, სადაც ცა თითქოს უერთდება კლდეს...

ეს მამაცი ადამიანები თბილისელი მკლდეურები იყვნენ, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ სოფელ ოქროყანა-

ში, წავკისის ხეობაში ჭალაქის პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს, მათ არ ამხევებდათ გულშემატკივართა ტაში და შეძახილი. თბილისის არმიელთა სპორტკლუბის, განათლების განყოფილების მოზარდთა მთასვლური სპორტსკოლის, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების მკლდეურები თეთრთხვე უმაგრებდნენ გულს თანაგუნდელებს.

მკლდეურობა უნივერსიტეტში, სამსატვრო აკადემიაში, საფინანსო-ეკონომიურ ტექნიკუმში, კეროვნის და დიმიტროვის სახელობის ქარხნებშიცაა დანერგილი, მაგრამ ამჯერად ამ კოლექტივებმა შეჯიბრების თავი აარიდეს.

— განსაკუთრებით უნივერსიტეტს უნდა ვუსაყვედუროთ. სხვა რომ არა იყოს რა, სწორედ აქ დაირწა პირველად საბჭოთა მთამსვლელობის აკვანი. უნივერსიტეტის მთამსვლელებს ბევრჯერ მოუპოვებიათ გამარჯვება სხვადასხვა შეჯიბრებაში. მაგრამ წვავისის ხეობაში მათი მკლდეურების ნაწილი მაყურებლის როლს დასჯერდა, — გვითხრა საქართველოს მკლდეურთა მწვრთნელმა ნ. კანკავამ.

შემდეგ მწვრთნელმა გვიქო დები თამარ და ეთერ ქიტუაშვილები. უფროსი — თამარი უძლიერესი იყო როგორც ინდივიდუალურ რბოლაში, ისე წყვილთა გასწრებაში, ეთერმა კი ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მხოლოდ თავის დას დაუთმო პირველობა, ეთერი 15 წლისაა და მას კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებს უფროსი მწვრთნელი.

ვაჟთა შეჯიბრების ორივე ხახეობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა ლ. გურჩიანმა. მან ინდივიდუალურ შეჯიბრებაში 70-მეტრიანი მონაკვეთი 3 წუთსა და 1 წამში გადალახა და შემდეგ დიულფერით ტყვიასავით დაეშვა ძირს. ტექნიკაში მან ორივე სახეობაში უმაღლესი შეფასება — 120 ქულა მაიღო.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. ოქროყანა.

• • •

ტექნიკური შედეგები

ქალები. ინდივიდუალური შეჯიბრება. თ. ჭიტუაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 120 ქულა, ე. ჭიტუაშვილი (განათლების განყოფილების მოზარდთა მთასვლური სპორტსკოლა) — 91,86, თ. გუგუშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 86,83. წყვილთა გასწრება. თ. ჭიტუაშვილი — 120 ქულა, ვ. რატიანი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 114,9, ე. ხარებავა (განათლების განყოფილების მოზარდთა მთამსვლური სპორტსკოლა) — 97,3.

ვაჟები. ინდივიდუალური შეჯიბრება. ლ. გურჩიანი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 120 ქულა, ა. ხერგიანი (ასკ) — 117, ვ. საბანაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 113. წყვილთა გასწრება. გურჩიანი — 120 ქულა, ხერგიანი — 115,32, ვ. ელისაშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 109,81.

გუნდური. განათლების განყოფილების მოზარდთა მთასვლური სპორტსკოლა — 819,62 ქულა, ფიზკულტურის ინსტიტუტი—616,0, ასკ — 574,69.

• • •

სურათზე: ლ. გურჩიანი დიულფერით დაშვებისას.

ავტორის ფოტო.

მხოლოდ მესამე ადგილი

ბელგიაში (მოლდაველთი) გაიმართა მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობა ჭადრაკში. მონაწილე 12 გუნდი ჭვეჯგუფებად დაიყო.

ფინალურ ტურნირში გავიდნენ საქართველოს, ლატვიის, მოლდავეთისა და სომხეთის გუნდები. უძლიერესის სახელი მასპინძლებმა დაისაკუთრეს. II ადგილზე იყუნენ სომეხი მოჭადრაკეები. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები III ადგილზე დარჩნენ.

საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდში იყვნენ: ზ. ბურჭულაძე, ზ. აზმაიფარაშვილი, ი. ეფიმოვი, ა. კლიმჩუკი, ზ. თანდაშვილი (უველა — თბილისი), ზ. ლიფონავა (ცხაკაია), მზია წერეთელი, მაგული მამისთვალავა (ორივე — თბილისი).

მაია რუსაძე.

უნაყოფო იერიშები, შედეგიანი კონტრშეტევები



ბაიბული, 25 მაისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გრძელდება მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური ტურნირი ფეხბურთში.

საინტერესოდ მიმდინარეობდა რუსთავისა და ქუთაისის გუნდების შეხვედრა. ქუთაისელები უფრო ხშირად უტევდნენ და სახიფათო მომენტებიც შექმნეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს ისინი. სამაგიეროდ, რუსთაველებმა გოლით დაამთავრეს თავიანთი ერთ-ერთი კონტრიერიში — 1:0.

ასეთივე ანგარიშით დამთავრდა გორისა და ამპარის გუნდების მატჩი. აქაც: ამპარის ნორჩ ფეხბურთელთა უპირატესობას შედეგი არ მოჰყოლია. გორელებს გამარჯვება მოუტანა ვლაშენჯოს მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა.

მრავალრიცხოვანი მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს თბილისისა და ჯუხაჯეთის გუნდების თამაშს. ფეხბურთელებმა ნაკმაოდ კარგი ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება აჩვენეს ვულშემატკივრებს. წარმატება თბილისელებს ხვდათ — 2:0.

ზ. ჯორჯაძე.

მაია: 10 ქულა 12-დან!

ბრაუშვაი, 25 მაისი (ტელეფონით). გუშინ რუმინეთის ამ საგარაჯო ქალაქში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების ლიდერმა მ. ჩიბურდანიძემ ბოლო, XIII ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბაუმშტარკთან (რუმინეთი) და 10 ქულით I ადგილი დაიკავა. ნორჩი თბილისელი მოჭადრაკე შეჯიბრების ერთადერთი მონაწილეა, ვინც წაუგებლად ჩაატარა ტურნირი.

II-IV ადგილებზე გავიდნენ ბორისოვა (ბულგარეთი), ვრეკენი (ჰოლანდია) და მიკელი (გდრ) — 7-7 ქულა.

ტურიშჩევა მაინც ტურიშჩევაა!

დონის როსტოვი, 24 მაისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღე დაეთმო ნებისმიერი პროგრამით ქალთა ასპარეზობას. ეს იყო სპორტის ამ ულამაზესი სახეობის ჭეშმარიტი დღესასწაული. სახელმოხვეჭილ ოსტატებს მხარს უმშვენებდნენ ახალგაზრდა სპორტსმენები. ისინი ზოგჯერ ისეთ ილეთებს ასრულებდნენ, რომლებზეც ფიქრი რამდენიმე წლის წინათ ვაჟებსაც კი არ შეეძლოთ.

სპორტის სასახლეში შეკრებილი ათასობით მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ბრწყინვალე ოსტატების გამოსვლას დარბაზის ცენტრში გაფენილ ვეებერთელა ხალიჩაზე. ინტერესს ისიც აღვივებდა, რომ ერთ ჯგუფში გამოდიოდნენ თავისუფალი ვარჯიშის უბადლო შემსრულებელნი ლ. ტურიშჩევა (დონის როსტოვი), ე. საადი (მოსკოვი) და რ. სიხარულიძე (ბათუმი). რუსულანმა ჩვეული ოსტატობით შეასრულა რთული ილეთებისაგან შემდგარი კომბინაცია, ვარჯიში კარგად დააბოლოვა და მსაჯთა მაღალი შეფასებაც მიიღო — 9,55 ქულა. საადიმ თავის ვარჯიშში მეტი პლასტიკურობა შეიტანა, მოხდენილად, ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა ყოველ ილეთს. მსაჯებმა მისი გამოსვლა 9,7 ქულით შეაფასეს.

მაუნჰენის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონის ტურიშჩევას ვარჯიშმა ყველას გააოცება გამოიწვია. წინა ასპარეზობებიდან კარგად ვიცნობდით მის მოძრაობებს, ვიცოდით, რომ იგი რამდენიმე ილეთს დაუმატებდა თავის ძველ კომბინაციას. მაგრამ სულ სხვა ვარჯიშის მოწმენი გავხდით. ეს იყო აკრობატული ილეთებისგან შემდგარი, კონტრასტული მოძრაობებით აღსავსე ვარჯიში, ცეცხლოვანი, ურთულესი ელემენტებით დამშვენებული, შთამბეჭდავი...

კარგად გამოვიდნენ თ. ლაზაკოვიჩი (მინსკი), ბუივოლოვა (ალმა-ათა) და ზელენკოვა (ვიტებსკი). ზემოჩამოთვლილი ექვსი სპორტსმენი „დინამოს“ წევრია და, რასაკვირველია, ამ საზოგადოების გუნდი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა — 372,05. დინამოელებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ჩემპიონის ოქროს მედლები.

II ადგილი დაიკავა „ბურევესტნიკმა“ — 370,15, III — „შრომითმა რეზერვებმა“ — 368,8.

პირად პირველობაში ლიდერობას ინარჩუნებს ტურიშჩევა. ახლა მას 77,1 ქულა აქვს და საგრძნობლად უსწრებს II ადგილზე მყოფ გროდნოელ ო. კორბუტს — 75,95 (ეს უკანასკნელი სწორუპოვარი იყო ორძელზე ვარჯიშში — 9,65).

მომდევნო ადგილებზე არიან ჩიმკენტელი ნ. კიმი — 75,65, ე. საადი და ლ. ბოგდანოვა (ორივე — მოსკოვი) — 75,1-75,1, ლ. სავინა (ვილნიუსი) — 74,55.

WM-74

13/VI — 7/VII

როგორც ცნობილია, 13 ივნისს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იწყება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი.

დღეიდან ვიწყებთ ჩემპიონატის 16 ფინალისტის სპორტული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას, რომლებიც ინგლისურ გაზეთ „მორნინგ სტარში“ იბეჭდება.

კატენაჩიოს და ლიგეროს ამგავი

იტალიურ ფეხბურთში გამეფებულია კატენაჩიო — დაცვითი სისტემა, რომელიც პატარა კლუბებმა დანერგეს. ამ კლუბებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ცნობილი ვარსკვლავები ეყიდათ და მათ ყოველ კვირას შავ დღეს აყრიდნენ დიდი კლუბები, რომლებსაც ეს შესაძლებლობა ჰქონდათ.

დღეს კი ყველა — პატარა კლუბები, დიდი კლუბები, ეროვნული გუნდი — კატენაჩიოთი თამაშობს. იმ გუნდებმა, რომლებმაც სცადეს უარი ეთქვათ ამ სისტემაზე, სასტიკი მარცხი იწვნიეს — კატენაჩიოს მიმდევრებს მთელი მატჩის განმავლობაში შეიძლება ერთხელ მიეტანათ იერიში მეტოქის კარზე და ეს ცდაც გოლით მთავრდებოდა.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ უკმაყოფილება გამოთქვა ზემოთქმულის გამო, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. სისტემა არ იცვლება. ორში ერთია: კლუბებს ან დაავიწყდათ თავდასხმაში თამაში და შემოქმედებითი ფეხბურთი, ან საჭიროდ არ მიაჩნიათ სისტემის შეცვლა, სანამ იგი ნაყოფს იძლევა.

მას შემდეგ, რაც იტალიამ მეხიკოში ფინალს მიაღწია, ბევრმა ყურადღება მიაქცია. ახლა მაშინდელი შემადგენლობიდან ნაკრებში მხოლოდ მოთამაშეთა ნახევარი დარჩა, მაგრამ გუნდს მაინც ჰყავს ისეთი ძლიერი ფეხბურთელები, როგორიც არიან „ინტერის“ წევრები მაცოლა და ბონინსენია. ტალანტების სიუხვე იტალიელთა ერთერთი მთავარი კოზირია.

მენეჯერმა ვალკარეჯიმ ორი წლის წინათ ნამდვილი კრიზისი გადაიტანა. ამ კრიზისისგან თავის დაღწევას იგი უნდა უმადლოდეს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს, აგრეთვე, ორ შეხვედრას ბრაზილიისა და ინგლისის გუნდებთან, რომლებიც იტალიელებმა მოიგეს ერთნაირი ანგარიშით — 2:0. სხვათა შორის, ეს იტალიელთა პირველი გამარჯვება იყო ინგლისელებთან მატჩებში 40 წლის მანძილზე. შარშან ნოემბერში შინ გამარჯვებას იტალიელებმა სტუმრად მოგებაც დაუმატეს, როცა უასპუხო გოლი გაიტანეს „უემბლიზე“.

მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფში იტალიის გუნდს არ გაუჭირდება ჯიტელებთან თამაში, მაგრამ სერიოზული გამოცდა მოელის პოლონეთისა და არგენტინის ფეხბურთელებთან შეხვედრებში. კარგად თამაშის შემთხვევაში ორივე ამ გუნდს შეუძლია იტალიელთა დაცვას გასაღები მოუძებნოს, ხოლო კარგი მსაჯობა კიდევ უფრო გაზრდის ამ შანსს.

დაცვაც არის და დაცვაც! 53 მატჩში 1966 წლის შემდეგ, როცა გუნდს ვალკარეჯი ჩაუდგა სათავეში, იტალიელთა ნაკრებმა წააგო მხოლოდ ხუთი მატჩი, მათ შორის — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა.

შარშან იტალიელებს არც ერთი მატჩი არ წაუგიათ და მათს კარში გოლიც არავის გაუტანია! უკანასკნელი გოლი იტალიელთა კარში 1972 წლის სექტემბერში პენალტით გაიტანა იუგოსლავიის გუნდმა (ეს შეხვედრა იტალიის ნაკრებმა მოიგო — 3:1).

ყოველივე ეს იმდენად მეკარე ძოფის დამსახურება არ არის, რამდენადაც მის წინ მოთამაშე ფეხბურთელებისა და სისტემისა, რომელსაც ისინი იყენებენ. ეს ფეხბურთელები ისე მჭიდროდ მეურვეობენ მეტოქეს, ისე სწრაფად ართმევენ მას ბურთს, ისე კარგად იცავენ თავს, რომ მოწინააღმდეგეს ისღა დარჩენია, შორიდან ურტყას.

თუ სასწაული მოხდა და მცველი კარის სიახლოვეს მოატყუეს, იქ უმალვე გაჩნდება ლიბერო (მწვრთნელი) ბურგნიჩი და გაუსწორდება „დაუპატიჟებელ სტუმარს“.

დღეს იტალიელთა დამარცხების ერთადერთი გზა ალბათ ისაა, რომ მათს კარში რაც შეიძლება სწრაფად გაიტანო გოლი და ამით აიძულო ისინი უარი თქვან მარტო დაცვაზე. სწორედ ასე მოიქცა გფრ-ის ნაკრები მეხიკოს ჩემპიონატის ნახევარფინალში. იტალიელები იძულებული გახდნენ წინ წასულიყვნენ და შეეტიათ. ამის შედეგი ის გახლდათ, რომ შედგა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე ამაღელვებელი შეხვედრა (იტალიამ მოიგო — 4:3).

ასეა თუ ისე, 18 თვის მანძილზე იტალიელთა კარში გოლი არავის გაუტანია. ამიტომ თავი დავანებოთ მანამდე გატანილ ბურთებს და ვთქვათ, რომ მათს თამაშს კატენაჩიო ჰქვია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბურგნიჩის გარდა თქვენ ნახავთ კიდევ სამ მცველს, რომლებიც მეტოქის თავდამსხმელებს წამითაც არ მოშორდებიან.

მეტოქეთაგან რომელიმემ ფეხი რომ მოიტეხოს და საავადმყოფოში წასაყვანი გახდეს, იცოდეთ, ერთ-ერთი იტალიელი ფეხბურთელი მას ალბათ სასწრაფო დახმარების მანქანაშიც არ დატოვებს მარტო.

ბენეტი, კაუზიო და კაპელო — ეს სამეული ზოგიერთ ფორვარდს უთუოდ ანატრებინებს, ნეტავ შინ დავრჩენილიყავი ამ ზაფხულშიო. თუ საქმერო ბრძოლა წააგეს, ეს ფეხბურთელები მყისვე ძირს დაჭაჭანებენ თავიანთს დამარცხებლებს, თუ მიწაზე სძლია ვინმემ, მყისვე დაიჭერენ, ჯანს გადაუღობავენ ან ფეხს დაუდებენ.

ბენეტი ზორბაა, ქერა, როგორც იტყვიან ხოლმე, ნაჯახივით ბასრია. ნეცერს და კრუიფს მოეწონებათ იგი. კაპელო და კაუზიო ბევრს მუშაობენ და მეტოქეებს წურბელასავით ეკვრიან. ორივე ძალიან ნიჭიერია.

როცა ნიჭზე დაიწყება ლაპარაკი, არ შეიძლება არ ვახსენოთ იტალიის გუნდის „დირიჟორი“ ჯანი რივერა. ამ „ოქროს ბიჭმა“ სამ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. ახლა ოქრო, მართალია, ისე აღარ ბრწყინავს და წელშიც ცოტა უფრო შესქელდა, მაგრამ თამაში კიდევ შეუძლია.

წინ რივა და ანასტაზი თამაშობენ. რივა კომბალია, ანასტაზი კი — რაპირა.

საერთაშორისო ფეხბურთს ცუდი დღე დაადგება, თუ კატენაჩიომ მსოფლიო პირველობა მოიგო, რადგან მსოფლიო ჩემპიონს მუდამ ჰბაძავენ და მარტო იმის გაფიქრებამაც კი, რომ ყველა იტალიელებივით დაიწყებს თამაშს, შეიძლება ცუდად გახადოს კაცი.

ტერი ბაშელი.

• • •

გუნდის შემადგენლობა

ძირითადი მოთამაშეები: ძოფი („იუვენტუსი“), ბერგნიჩი („ინტერნაციონალე“), სპინოზი („იუვენტუსი“), ბელუგი („ინტერნაციონალე“), ფაკეტი („ინტერნაციონალე“), კაუზიო („იუვენტუსი“), კაპელო („იუვენტუსი“), რივერა („მილანი“), ბენეტი („მილანი“), ანასტაზი („იუვენტუსი“), რივა („კალიარი“).

მათს გარდა, გუნდში არიან: მეკარე ალბერტოზი („კალიარი“); მცველები: საბადინი („მილანი“), მარკეტი („იუვენტუსი“), მორინი („იუვენტუსი“); ნახევარმცველები: რე ცეპინი („ლაციო“), მაცოლა („ინტერნაციონალე“); თავდამსხმელები: კინალია („ლაციო“), ბონინსენია („ინტერნაციონალე“), პულიჩი („ტორინო“).

ინგლისური ფეხბურთის ღიმილი

მწვრთნელი ეუბნება რეპორტიორს: „მე არ ვიცი, საიდან შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ ჩვენს გუნდს განზრახული აქვს დაცვითს სტილზე გადავიდეს“.

საკდესის ფოტოკრონიკა.

ასული ჯაჭი-74

● ნიუ იორკი, 24 მაისი. წარმატებით ასპარეზობს ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები. ამერიკელ თანატოლებთან გამართულ ორ ამხანაგურ შეხვედრაში საბჭოთა იუნიორებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს და ერთადერთი შეჯიბრება წააგეს. ოკასტაში მათ ანგარიშით 9:1 სძლიეს მენის შტატის ნაკრებს, ხოლო ნიუ იორკის გარეუბან ჰემპსტედში ლონგ-აილენდის ნაკრებს აჯობეს — 9,5:0,5.

● პრაღა დი რიმა, 24 მაისი. იტალიის ამ ავარაკზე დასასრულს უახლოვდება ევროპის ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში. შეჯიბრების ფინიშამდე ოთხი ტური დარჩა. საბჭოთა დიდოსტატებმა ა. ანდრეიკომ და ა. განტვარგმა პრაქტიკულად უკვე მოიპოვეს პირველი ორი ადგილი: ანდრეიკოს 8 ქულა აქვს 9-დან, ხოლო განტვარგს — 7,5 ქულა 8-დან (მინსკელი მოშაშე ერთერთ ტურში თავისუფალი იყო, მაშინ, როცა რიგელ დიდოსტატს ასეთი პაუზა აღარ მოელის). სატურნირო ცხრილის მესამე საფეხურზეა ჰოლანდიელი საერთაშორისო ოსტატი ფ. დროსტი — 6 ქულა 8 დან.

● ტალინი, 24 მაისი. ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ესტონეთის გუნდთან გამართული მეორე შეხვედრაც მოიგო — 88:77 (44:41). ამ კოლექტივთა პირველი მატჩის ანგარიშია 89:75 (48:39).

● ბრიუსელი, 24 მაისი. იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონატზე, 19 წლის ა. ბრიდენბახმა 400 მ 45 წამში გაირბინა. ეს მესამე შედეგია ევროპის მკლეოსნობის ისტორიაში.

● კანზასი, 24 მაისი. ამ დასავლეთგერმანულ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ევროპაში სამოგზაუროდ ჩამოსულმა ამერიკელმა ბირთვის მკვრელმა, მსოფლიო რეკორდსმენმა ა. ფიერბახმა 21,25 მ აჩვენა. II ადგილი დაიკავა ბრიტანეთის თამაშების ჩემპიონმა, ინგლისელმა ჯ. კეიასმა — 20,38. 10 კილომეტრზე რბენაში ინგლისელმა სტაიერმა მ. ბაჭსტერმა წლეულს ევროპის სტადიონებზე საუკეთესო შედეგს მიაღწია — 28.16,0.

● კიოლნი, 24 მაისი. აქ გამართულ შეჯიბრებაში დასავლეთგერმანელმა სპრინტერებმა ჰ. ომერმა და ფ.-პ. ჰოფმაისტერმა 100 მ 10,2 წამში გაირბინეს.

● ბონი, 24 მაისი. ახალგაზრდა ჰოკეისტმა გ. კრეტჩმერმა (გფრ) დასავლეთ გერმანიის დედაქალაქში გამართულ შეჯიბრებაში ქულათა კარგი ჯამი დააგროვა — 7888.

● ბელაპი (ნიუ მექსიკოს შტატი), 24 მაისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრები წარმატებით განაგრძობს ტურნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქ იგი მესამედ შეხვდა მასპინძელი ქვეყნის ნაკრებს და ისევ გაიმარჯვა, ამჯერად — ანგარიშით 78:58 (39:22). სტუმართა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ზახაროვა (16 ქულა), რომელიც ერთხმად აღიარეს შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ.

სკოტლარის რეკორდი დაეცა

ევროპის ქვეყნებში გამართული ჩემპიონატების საუკეთესო სნაიპერის სახელი მოიხვეჭა ლისაბონის „სპორტინგის“ თავდამსხმელმა იასალდემ, რომელმაც პორტუგალიის პირველობაში (სხვათა შორის, „სპორტინგმა“ გათამაშებაში I ადგილი დაიკავა) 46 გოლი გაიტანა.

ეს შედეგი ორი გოლით სჯობს ევროპის ჩემპიონატების ბომბარდირთა რეკორდსმენის, იუგოსლავიელი ფეხბურთელის სკოტლარის უმაღლეს მიღწევას.

შვიდი კანდიდატი

ბერნი, 24 მაისი. ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებმა აქ გამოაცხადეს: ლაჰტი (ფინეთი), ლეიკ-პლესიდი და ჯექსონი (აშშ) სათხილამურო სპორტში მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის მომწყობი შვიდი კანდიდატის რიცხვში შედიანო.

სათხილამურო რბოლებსა და სამთოსათხილამურო სპორტში შეჯიბრებების მომწყობ ქალაქებს სან-ფრანცისკოში აირჩევენ ფედერაციის XXX კონგრესზე, რომელიც გაისად 25-31 მაისს გაიმართება.

სამთოსათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების სურვილს გამოთქვამენ ბრიანსონი (საფრანგეთი), გარმიშ-პარტენკირჰენი (გფრ), ჯექსონი (აშშ) და კრანსკა-გორა (იუგოსლავია).

სათხილამურო რბოლებში, ორჭიდსა და თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების კანდიდატია ქვეყანა (კანადა).

რინგზე არიან... ქალები

... ორი ქალი ველური ყვირილით თმებში ჩაფრენია ერთმანეთს. ორივე ცდილობს ან ძირს დასცეს მეტოქე, ან რინგის ბაგირებს მიანარცხოს. გამოყენებულია ყველა ხერხი — დარტყმა, პანღური... ეს გახლავთ ქალთა „პროფესიული ჭიდაობა“, რომელსაც ხშირად უჩვენებენ იაპონიის ტელევიზიით. ასეთ უმსგავსო სანახაობას სპორტთან, რასაკვირველია, საერთო არაფერი აქვს. სამაგიეროდ, იგი დიდ მოგებას აძლევს ორგანიზატორებს. როგორც იაპონიის პროფესიულ მოჭიდავეთა ასოციაციაში მოთხრეს, ამჟამად ამ ქვეყანაში უკვე ოცი ქალი შოულობს ლუკმაპურს ასეთი „ჭიდაობით“.

საქმოსნები სულ უფრო ფართოდ ნერგავენ იაპონიაში ევგრეთ წოდებულ კიკ-კრივსაც. მეტოქე ქალებს აქ უფლება აქვთ ერთმანეთს ურტყან ხელებითაც და ფეხებითაც.

ბიზნესმენებს ძიუდოზეც უჭირავთ თვალი. ტელევიზიით საკმაოდ ხშირად უჩვენებენ ძიუდოისტების კომონოში გამოწყობილ მოხდენილ იაპონელ ქალიშვილს, რომელიც „ხულიგნების“ ჯგუფს მარტოდმარტო უმკლავდება. ასეთი ტრიუკის დახმარებით რეკლამას უწევენ ან ახალი სახეობის კომონოს, ან სპორტულ კლუბს, რომელიც იაპონელ ქალიშვილებს ჰპირდება ძიუდოს ილეთების სწავლებას (რა თქმა უნდა, არა უფასოდ). ამ კლუბების მთავარი მიზანი მოგებაა. მათ ოდნავაც არ აღელვებთ ის ამბავი, რომ იაპონიის ძიუდოს ფედერაციამ არა მარტო აკრძალა ქალთა ოფიციალური შეჯიბრებები, არამედ სრულიად საფუძვლიანად განაცხადა, ძიუდოც და ჭიდაობის სხვა სახეობებიც მავნებელია ქალების ჯანმრთელობისთვისო.

მ. დემჩენკო.

(საკდესის კორ.).

ტოკიო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ინდექს 86448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02589